აფრო-ამერიკელი მწერალი ქალი, ზორა ჰერსტონი: ახალი ხედვები

ZORA HURSTON: A NEW PERSPECTIVE ON AFRICAN-AMERICAN WOMAN WRITER

ქეთევან ანთელავა

Ketevan Antelava

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: აფრო-ამერიკული ლიტერატურა, ქალთა საკითხები, რასიზმი

Keywords: African – American Literature, Women studies, Racism

1975 წელს, ამერიკელი მწერალ ზორა ნილ ჰერსტონის გარდაცვალებიდან 15 წლის შემდეგ, ჟურნალ *Ms.-ში* აფრო-ამერიკელმა მწერალმა ქალმა, ელის უოქერმა, გამოაქვეყნა ესე: *„ზორა ნილ ჰერსტონის ძიებაში“,* რომლითაც ახალი სიცოცხლე შესძინა ამ მწერლის მემკვიდრეობას და დასაბამი მისცა მისი თავიდან აღიარების პროცესს. დღეს ზორა ჰერსტონის შემოქმედება სკოლების სავალდებულო პროგრამასა და აფრო-ამერიკული მწერლობის ქრესთომატიებშია შესული და მის შესწავლას სპეციალური სასწავლო კურსები ეთმობა, მათ შორის ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის პროგრამაზე. ჩემი მოხსენება მიზნად ისახავს, გააცნოს ფართო საზოგადოებას ამ ერთ დროს უსა-მართლოდ მივიწყებული მწერლის შემოქმედება და მისი არანაკლებ საინტერესო ცხოვრების გზა.

მწერალი, ფოლკლორისტი და ანტროპოლოგი, ზორა ნილ ჰერსტონი, რამდენიმე რომანის, ავტობიოგრაფიის, პიესებისა და ესეების ავტორია, მაგრამ მის მაგნუმ ოპუსად ითვლება რო-მანი *“Their Eyes Were Watching God”.* რომანში აღწერილია ჯეინ ქროუფორდის ცხოვრება საკუთარი იდენტობის ძიების გზაზე, რომლის დროსაც ის შეიცნობს, თუ რა არის სიყვარული, სევდა და სულიერი სიმშვიდის მოსაპოვებლად შინ, ქალაქ იტონვილში, ფლორიდა, ბრუნდება თითქმის ორი წლის არყოფნის შემდეგ. მეზობლებისა და მკითხველის ინტერესს იწვევს, თუ რატომ დაბრუნდა ჯეინი შინ ბინძურ კომბინიზონში, მაშინ, როცა ქალაქი საპატარძლო კაბით დატოვა. მოთხრობა ჯენის ცხოვრების 40 წელს აღწერს, თუმცა მხატვრულ ხერხად „ჩარჩო“ – მეგობართან საუბრის ერთი საღამოა გამოყენებული.

რომანი, რომლის მნიშვნელობაზე ლიტერატურის სპეცია-ლისტები დღეს საკმაოდ ბევრს საუბრობენ, გამოქვეყნებისას მკაცრი კრიტიკის ობოექტი გახდა და მოგვიანებით სრულ და-ვიწყებას მიეცა. კიდევ უფრო დრამატული ისტორია აქვს 2018 წელს გამოცემულ წიგნს *“Baracoon: The Story of the Last “Black Cargo”*, რომელიც მონებით დატვირთული გემის უკანასკნელი

გადარჩენილი მგზავრის ინტერვიუს ეფუძნება და რომელის ხელნაწერიც 1931 წლიდან ჰოვარდის უნივრსიტეტის ბიბლიოთეკის არქივში ინახებოდა და სინათლე მხოლოდ 87 წლის დაგვიანებით ნახა.

ჰარლემის რენესანსის სათავეებთან მდგარი და ამ მიმდინარეობის აქტიური მონაწილე, თავად აფრო-ამერიკელი ზორა ჰერსტონი არატრადიციულად, შეიძლება ითქვას, წინააღმდეგობრივადაც აშუქებდა ფერადკანიანთა პრობლემებს, რის გამოც მწვავე კრიკტიკის ობიქტად იყო ქცეული. ამის საპირისპიროდ, დღეს მიჩნეულია, რომ მისი რომანები და მთელი შემოქმედება „გვეხმარება ვისწავლოთ არასასიამოვნო რეალობისთვის თვალის გასწორება და ეს არა მხოლოდ მის მიერ შექმნილ მხატვრულ რეალობას, არამედ მის რეალურ ცხოვრების გზასაც ეხება“ (Cep. 2018, p. 2).

„სპირიჩუალზივით ღრმა და ორიგინალური ლიტერატურა“ ასეთია ზორა ჰერსტონის შეფასება დღეს. ის გზა, რომელიც მან მწვავე კრიტიკიდან და მივიწყებიდან ამგვარ აღიარებამდე განვლო, უდავოდ, განახლებული ყურადღებისა და სათანადო შესწავლის ღირსია.

ლიტერატურა:

Bloom H. (1986). Modern Critical Views: Zora Neale Hurston. New York: Chelsea House Publishers. ISBN 978-0-87754-627-6.

Cep C. (2018). Zora Neale Hurston's Story of a Former Slave Finally Comes to Print, The New Yorker, May 14, 2018 Issue. https://www.newyorker.com/magazine/2018/05/14/zora-neale-hurstons-story-of-a-former-slave-finally-comes-to-print

Hurston Zora Neale (2006). Their Eyes Were Watching God. New York : Harper Perennial Modern Classics.

Pierpoint C. R. (1997). A Society of One Zora Neale Hurston, American contrarian. The New Yorker, February 17, 1997 Issue. https://www.newyorker.com/magazine/1997/02/17/a-society-of-one

Ramsey W. M. (1994). The Compelling Ambivalence of Zora Neale Hurston's "Their Eyes Were Watching God." The Southern Literary Journal, 27(1), http://www.jstor.org/stable/20078110

Zhao L. (2015). "Racial and sexual politics of Their Eyes are Watching God from a spatial perspective". Theory and Practice in Language Studies, Vol. 5, No. 11, DOI: http://dx.doi.org/10.17507/tpls.0511.15

In 1975, 15 years after Zora Neal Hurston's death, African-American writer Alice Walker published an essay, *"In Search of Zora Neal Hurstons,"* in *Ms.* magazine, which marked a new beginning in the process of reevaluation of her achievements and role in American literature. My presentation aims at introducing this unfairly ignored writer whose legacy and life experience might be equally interesting.

Writer, folklorist, and anthropologist Zora Neal Hurston is the author of several novels, an autobiography, plays, essays, and a number of non-fiction works. However, the novel *"Their Eyes Were Watching God"* is considered to be her magnum opus. The novel, which is widely discussed and highly praised today, was a commercial failure and sank without a trace soon after publication. Her non-fiction project: *"Barracoon: The Story of the Last "Black Cargo,"* published in 2018, has an even more dramatic history. The book is based on interviews with the last survivor of the last slave ship to land on American shores. Prior to being published, the manuscript was stored in the Howard University library archives, and it took 87 years for *Barracoon* to see the light of day.

When Hurston arrived in New York City in 1925, the Harlem Renaissance was at its zenith, and she soon became one of the writers at its center. Although highly acclaimed today, her books drew their share of criticism at the time, as they depicted problems of the African-American community in an untraditional, controversial way. Contrary to the former attitude, today it is considered that her legacy

“may help teach us to live with uncomfortable truths, not only about the complicated and terrible stories it records but also about the complicated and tremendous author who recorded it“. (Cep. 2018, p.2)

“Literature as profound and original as the spirituals” – such is Zora Neal Hurston’s assessment today. The path that led her from harsh criticism and obscurity to such acclaim is, without a doubt, worthy of renewed attention and appropriate study.

References:

Bloom H. (1986). Modern Critical Views: Zora Neale Hurston. New York: Chelsea House Publishers. ISBN 978-0-87754-627-6.

Cep C. (2018). Zora Neale Hurston’s Story of a Former Slave Finally Comes to Print, The New Yorker, May 14, 2018 Issue. https://www.newyorker.com/magazine/2018/05/14/zora-neale-hurstons-story-of-a-former-slave-finally-comes-to-print

Hurston Zora Neale (2006). Their Eyes Were Watching God. New York : Harper Perennial Modern Classics.

Pierpoint C. R. (1997). A Society of One Zora Neale Hurston, American contrarian. The New Yorker, February 17, 1997 Issue. https://www.newyorker.com/magazine/1997/02/17/a-society-of-one

Ramsey W. M. (1994). The Compelling Ambivalence of Zora Neale Hurston’s “Their Eyes Were Watching God.” The Southern Literary Journal, 27(1), http://www.jstor.org/stable/20078110

Zhao L. (2015). “Racial and sexual politics of Their Eyes are Watching God from a spatial perspective”. Theory and Practice in Language Studies, Vol. 5, No. 11, DOI: http://dx.doi.org/10.17507/tpls.0511.15